არჩეული განმარტოება და ფსიქოლოგიური კეთილდღეობა

ნინო ფირცხალავა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: კლინიკური ფსიქოლოგია

ხელმძღვანელი: ია შეყრილაძე, PhD, MSW, LCSW ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ფირცხალავა

2020 წელი

აბსტრაქტი

არჩეული განმარტოება გულისხმობს, მდგომარეობას, როცა ადამიანს ურჩევნია იყოს თავის თავთან, ვიდრე ჩაერთოს ისეთ აქტივობებში, რომლებიც მოითხოვენ სხვა პიროვნებების დასწრებას. არსებობს ვარაუდი, რომ შესაძლოა ეს არჩევანი როგორც სხვა ყველა, გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე. წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავდა დაედგინა არსებობს თუ არა კავშირი განმარტოებისთვის უპირატესობის მინიჭებასა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას შორის, შესაბამისად როგორ აისახება განმარტოება ადამიანის ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე. კვლევა აგრეთვე მიზნად ისახავდა, იმის ახსნას თუ რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს პიროვნულ ნიშანს ინდივიდის არჩევანზე, განმარტოვდეს.

გამოკითხვა ჩატარდა ელექტრონულად, 18- დან 54- წლამდე -102 ადამიანზე. გამოყენებულ იქნა 4 თვითაღწერითი საზომი: განმარტოებისთვის უპირატესობის მინიჭების სკალა; ფსიქოლოგიური კეთილდღეობის სკალა; სოციალური ფობიის სკალა; ინტროვერსიის სკალა. კვლევის პირველი ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც განმარტოებისთვის უპირატესობის მინიჭება დადებით კავშირში უნდა ყოფილიყო ავტონომიასთან; გარემოს ფლობასთან; ცხოვრებისეულ მიზანთან; საკუთარი თავის მიღებასთან და პიროვნულ ზრდასთან, არ გამართლდა. გამართლდა მეორე ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც განმარტოებისთვის უპირატესობის მინიჭება უარყოფით კავშირშია სხვებთან პოზიტიურ ურთიერთობებთან. მესამე ჰიპოთეზა გულისხმობდა, რომ ინტროვერტი ადამიანების მიერ არჩეული განმარტოება უფრო მაღალ ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას განაპირობებს ვიდრე არა ინტროვერტი ადამიანების, გამოიკვეთა რომ ინტროვერტი ადამიანები მეტად ანიჭებენ უპირატესობას განმარტოებას ვიდრე არა ინტროვერტი ადამიანები, თუმცა მივიღეთ უმნიშვნელო უარყოფითი ტენდენცია ინტროვერტებში ფსიქოლოგიური კეთილდღეობის. პიროვნულ ნიშნებთან დაკავშირებით არჩეული განმარტოების გავლენისა და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის უკეთ შესასწავლად საჭიროა დამატებითი კვლევების ჩატარება.

საკვანძო სიტყვები: *განმარტოებისთვის უპირატესობის მინიჭება, ფსიქოლოგიური კეთილდღეობა, ინტროვერსია, სოციალური შფოთვა.*

Abstract

Preference for solitude is a condition when one prefers to be by himself, rather then engaging in activities that require presence of other individuals. There is an assumption that perhaps this choice, like all others, affects a person's psychological well-being. The aim of this study was to establish a link between preference for solitude and psychological well-being. The study also aimed to explain what connection a personal trait may have to an individual's choice- spend time in solitude.

The survey was conducted electronically for 18 to 54 y.o. - 102 respodents. Four instruments were used: a preference for solitude scale; A scale of psychological well-being; Social phobia inventory (SPIN); Introversion Scale. The first hypothesis of the study, according to which the preference for solitude should have been positively related to autonomy; the environmental mastery; a purpose in life; self-acceptance and personal growth, it was not justified. The second hypothesis was justified, according to which the preference for solitude is negatively related to positive relationships with others. The third hypothesis was that the solitude preffered by introverted people led to higher psychological well-being than non-introverted people, but it has been shown that introverted people score higher on preference for solitude scale, than non-introverted people. However, we have a mild negative tendency in the introversion of psychological well-being. Further research is needed to better understand the connection with individuals preference for solitude on personal traits and psychological well-being.

Key words: *preference for solitude, psychological well-being, introversion, social anxiety*